

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა 1927 წლიდან



გვ. 15 გვ.

ანზორ ხელაშვილის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი კონფერენცია



საქართველოს უნივერსიტეტი

უნივერსიტეტი

30 ივნისი, სამშაბათი, 2009 წ. №9 (2091)

თსუ-ის წარმომადგენლობითმა საბჭომ ადმინისტრაციის მიერ განეული 2008 წლის მუშაობის ანგარიში დაამტკიცა

18 ივნისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ თსუ-ის ადმინისტრაციის მიერ 2008 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში მოისმინა. როგორც ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა რომან ხარბედიამ განაცხადა, საანგარიშო პერიოდში ჩატარდა შემონეშება კონტროლის პალატის მიერ, რომლის მიერ დაფიქსირდა მნიშვნელოვანი დარღვევა-ნაკლოვანებები, რომელიც ძირითადად 2008 წლამდე პერიოდს ეხებოდა. შემონეშების აქტი, რომელიც უნივერსიტეტში იხატება, საჯარო ინფორმაციაა და დაინტერესების შემთხვევაში ნებისმიერ ადამიანს შეუძლია გაცნობა.

მაია ტორაძე

„სერიოზული მუშაობა ჩატარდა ინვენტარიზაციის კუთხით. აღინერა უნივერსიტეტის ქონება და დაინიშნა მატერიალური პასუხისმგებლობის პირები. ეს ძალზე მნიშვნელოვანი საკმე იყო, რადგან წლების განმავლობაში უნივერსიტეტში აღწერა არ ჩატარებულა, არ ვიცოდით, რა ქონებას ვფლობდით და ვინ იყო მასზე პასუხისმგებელი. რაც შეეხება ფინანსებს, ბოლო დროს პრესაში გახშირდა ცილისმამბელო პუბლიკაციები, სადაც არასწორადაა მითითებული მონაცემები ფინანსების ხარჯვის თაობაზე. მთელი პასუხისმგებლო-

ბით ვაცხადებ, რომ ნებისმიერ თეთრზე ვართ პასუხისმგებლები. მინდა აქვე განვმარტო - უნივერსიტეტში არც ერთი ადამიანის ხელფასი, დამანატი და პრემია არ არის განანილებული პრივილეგიების მიხედვით. დაწყებული რექტორით, დამთავრებული დამხმარე პერსონალით, ანაზღაურება გაიცემა იმდენი, რამდენიც შტატით არის დაშვებული“, — განაცხადა რომან ხარბედიამ.

სხდომაზე დაისვა კითხვა — არის თუ არა დაგეგმილი ცვლილებები მომავალი წლის ბიუჯეტში? შესაძლებელია თუ არა, გათვალისწინებული იქნას ინფლაცია ხელფასების რაოდენობაზე, რათა უნი-

ვერსიტეტმა საუკეთესო კადრების შენარჩუნება შეძლოს?

ბატონმა რომან ხარბედიამ განაცხადა, რომ უნივერსიტეტის ფინანსურ შემოსავლებს ეკონომიკური კრიზისი დაეტყო, რადგან სტუდენტთა გადახდისუნარიანობამ იკლო. მისი თქმით, უნივერსიტეტის შემოსავლები, დღევანდელი მონაცემებით, 700 000 ლარით ნაკლებია იმ მაჩვენებელზე, რომელიც რეალურად უნდა არსებობდეს. „ჩვენ ვცდილობთ, ამ ფონზეც არ შეფერხდეს ღონისძიებები, რაც აუცილებელია სასწავლო პროცესის წარსამართად. იმ გრანტის მიღებაში, რასაც ჩვენ სახელმწიფოსგან ვიღებთ, ხელი არ შეგვშლია, მაგრამ შეფერხდა თავად სტუდენტების გადახდის მაჩვენებელი. შარშან ბანკები გასაცემდნენ სტუდენტურ სესხებს, წელს კი მათაც პრობლემები შეექმნათ. ამიტომ, იმის გათვალისწინებით, რომ მოსახლეობის გადახდისუნარიანობა შემცირებულია, იძულებული ვაგვხდით, სტუდენტებისთვის მიგვეცა გადასახადის ეტაპობრივად გადახდის უფლება. მიუხედავად ამ სიძნელეებისა, ჩვენს არც ერთ თანამშრომელს არ უგრძნია ხელფასების დაგვიანება“, — განაცხადა რომან ხარბედიამ.

სხდომაზე აღინიშნა, რომ ზაფხულიდან იწყება ბიუჯეტის პროექტზე მუშაობა, რომელიც ადმინისტრაციასთან ერთად ყველა ფაკულტეტი ჩაერთვება.

გამოითქვა მოსაზრება, რომ უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე წარმოდგენილ ანგარიშთან ერთად ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილიც განთავსდეს, რათა საჯარო ინფორმაცია ყველა დაინტერესებული ადამიანისთვის ხელმისაწვდომი იყოს.

უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა გიორგი ხუბუამ აღნიშნა, რომ, სამწუხაროდ, უნივერსიტეტი „მტრების“ ნაკლებობას არ უჩივის. „იგი ბევრს იდეოლოგიურად აღიზანებს, ბევრსაც მისი წარმატე-

ბები არ სიამოვნებს... ვფიქრობ, იმ აბსურდულ ბრალდებებზე, რომელიც პრესაში იბეჭდება, პასუხის გაცემა არ ღირს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ არა ვართ ვალდებული თავი ვიმართლოთ რომელიმე პარტიის წინაშე. უნივერსიტეტი აღარასოდეს დაუბრუნდება იმ დროს, როცა პროფესორს სიმბოლური ხელფასი ჰქონდა და ელემენტარული საარსებო წყაროს მოსაპოვებლად აქეთ-იქით უხდებოდა სირბილი. დიახ, გავზარდეთ ხელფასები და კიდევ გავზრდით. აქ ჩატარებული სამუშაოების შესახებ კი შეგვიძლია საზოგადოებას ჩავაბაროთ ანგარიში და არა ვინმე ცილისმამბელოს“, — აღნიშნა მან.

თსუ-ის წარმომადგენლობითმა საბჭომ განხილვის შემდეგ ადმინისტრაციის მიერ 2008 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში დაამტკიცა.

სენატმა დაამტკიცა ცვლილებები აკადემიური საბჭოს ზოგიერთ დადგენილებაშიც.

წარმომადგენლობითმა საბჭომ ასევე დაამტკიცა: „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსი“, „თსუ-ის შინაგანაწესი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები“, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულება და სტრუქტურა, თსუ-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის, აკადემიური განვითარებისა და უწყვეტი განათლების ცენტრის, საინფორმაციო ტექნოლოგიების მომსახურების ცენტრის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის, მატერი-ალური რესურსების მართვის დეპარტამენტის, საფინანსო დეპარტამენტის, სასწავლო დეპარტამენტის, „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის CISCO-ს ქსელური აკადემიის“ დებულებები.

ნიგნის ფასტი-ვალუა თსუ-ის გამომცემლობა მრავალწარმოვანი კოლექცია წარმოადგინა

გვ. 2 გვერდი



პროგრამირებაში უმაღლეს სასწავლებელთა შორის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში ქართველმა სტუდენტებმა ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს

გვ. 2 გვერდი

თსუ-ის ადმინისტრაციის მიერ 2008 წელს განეული მუშაობის ანგარიში

გვ. 3 გვერდი

მსოფლიო ფინანსური კრიზისი და საქართველო

გვ. 11-12 გვ.

V რესპუბლიკური ონომატოლოგიური სამეცნიერო სესია

გვ. 13 გვერდი

საუნივერსიტეტო უნივერსიადა დასრულდა

გვ. 14 გვერდი

წლიდან წლამდე — ბერძნული სამყაროს სიყვარულით გაჟღენთილი საქმე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეციისტიკის ინსტიტუტმა უკვე ტრადიციად დაამკვიდრა სასწავლო წლის ბოლოს ინსტიტუტის დღის აღნიშვნა. ამ დღეს პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები და მონაწილე სტუდენტები წლის ნაშრომს მოითვლიან და მეორე წლის ბოლოსთვის ახალი ენერგიით შეუდგებიან მუშაობას. შეიძლება ითქვას, რომ თსუ-ის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეციისტიკის ინსტიტუტი უნივერსიტეტის წიაღში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული სამეცნიერო ცენტრია, რაც 20 ივნისს ინსტიტუტის დღისადმი მიძღვნილ სხდომაზე კიდევ ერთხელ დადასტურდა.

მაია ტორაძე

სხდომას ესწრებოდნენ საბერძნეთის დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, ცნობილი

ბერძნული შემოქმედებით გაერთიანება „პანორამას“ მრავალრიცხოვანი დელეგაცია, უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები. სხდომა გახსნა ინსტიტუტის

დირექტორმა, პროფესორმა რისმაგ გორდენიანმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ინსტიტუტის დღე არის არა მხოლოდ რიტუალი, არამედ ერთგვარი შემონეშება იმისა, თუ რა გაკეთდა გასული ერთი წლის განმავლობაში. „კმაყოფილებით მინდა გაუწყობთ, რომ მიუხედავად საქართველოს თავსდატეხილი უამრავი გაჭირვებისა, ჩვენი კოლეგების დაუღალავი შრომის წყალობით ინსტიტუტმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია“, — აღნიშნა მან.

საქართველოში საბერძნეთის საელჩოს მრჩეველმა ადამ ადამიდისმა ბერძნულ-ქართულ ურთიერთობებში შეტანილი წვლილისთვის

მადლობა გადაუხადა თსუ-ის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეციისტიკის ინსტიტუტს და წარმატებები უსურვა მას.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა დარეჯან თვალთვაქმ მისასალმებელ სიტყვაში აღნიშნა, რომ ეს ინსტიტუტი ბერძნული სამყაროს პატარა ნაწილია და დიდი წვლილი შეაქვს სწავლებისა და კვლევის მაღალი სტანდარტების დანერგვაში.

გვ. 3 გვერდი

19. 06. 2009

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 2009-2010 სასწავლო წლის შემოდგომის სამეცნიერო გამოცხადება/აღდგენის წესით ჩარიცხვისა და თსუ-ის ფაკულტეტის შეცვლის მსურველთათვის კონკურსის ორგანიზების შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 28 მარტის 127 ბრძანებით დამტკიცებული „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების“ V თავის, „უმაღლესი განათლების“ შესახებ საქართველოს კანონის 22-ე მუხლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 29 მაისის 490 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების 16-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე,

ბრძანება:

1. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გადმოყვანისა და აღდგენის წესით სტუდენტთა ჩარიცხვა 2009-2010 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში მოხდეს აკრედიტაციის ეროვნულ ცენტრში დარეგისტრირებულ ვაკანტურ ადგილებზე.
2. სტუდენტთა მობილობისთვის განცხადებების შესაბამისი საბუთების მიღება განხორციელდეს 2009 წლის 22 ივნისიდან 15 ივლისამდე ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა ფაკულტეტის მიმღებ კომისიაში.
3. ფაკულტეტის მიერ კონკურსანტთა კრედიტების აღიარება და შესაბამისი ფორმით თსუ-ის საგამოცდო ცენტრისათვის მიწოდება განხორციელდეს არაუგვიანეს 2009 წლის 20 ივლისისა. აღიარებული კრედიტები გამოქვეყნდეს თსუ-ის ვებ-გვერდზე 22 ივლისს.

4. ფაკულტეტებმა წარმოადგინონ შესაბამისი დარგობრივი საგამოცდო და სააპელაციო კომისიების შემადგენლობა არაუგვიანეს 2009 წლის 15 ივლისისა.
5. საკონკურსო გამოცდა ჩატარდეს 2009 წლის 27 ივლისს.
6. გამოცდის შედეგები გამოცხადდეს 2009 წლის 28 ივლისს.
7. სააპელაციო განცხადებების მიღება განხორციელდეს 29 ივლისს.
8. კონკურსანტთა შეხვედრა სააპელაციო კომისიასთან გაიმართოს 2009 წლის 30 ივლისს.
9. საკონკურსო გამოცდის საბოლოო შედეგები გამოცხადდეს 2009 წლის 31 ივლისს.
10. დაევალოს საერთო განყოფილებას (ნ. ოვსიანიკოვა), უზრუნველყოს ამ ბრძანების გადაცემა უნივერსიტეტის ფაკულტეტებისა და სტრუქტურული ერთეულებისათვის.
11. ბრძანება განთავსდეს თსუ-ის ვებ-გვერდზე და გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტი“.
12. კონტროლს ბრძანების შესრულებაზე განვახორციელებ პირადად.
13. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საფუძველი: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 28 მარტის ბრძანება 127.

რექტორი, პროფესორი

გ. ხუბუა

ნიგნის ფესტივალზე თსუ-ის გამომცემლობა მრავალფეროვანი კოლექცია წარმოადგინა

25 ივნისს დიდუბის საგამოყვანო ცენტრ „ექპო-ჯორჯიის“ მე-11 პავილიონში საქართველოს ნიგნის გამომცემლობა და გამავრცელებელთა თაოსნობით ნიგნის მე-11 საერთაშორისო ფესტივალზე გაიხსნა, სადაც ადგილობრივი და შემოტანილი პროდუქცია გამოცდას უთმა გამომცემლობამ და ორგანიზაციამ წარმოადგინა.

შურთხია ბერძენი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ფესტივალში წელს პირველად მიიღო მონაწილეობა და საკმაოდ მდიდარი და მრავალფეროვანი კოლექცია წარმოადგინა.

როგორც 27 ივნისს საგამოყვანო ცენტრის დარბაზში გამართულ პრეზენტაციაზე თსუ-ის გამომცემლობის დირექტორმა თამარ ებრაღიძემ განაცხადა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ღირსეულად წარსდგა გამოფენაზე და სამეცნიერო საზოგადოებას მრავალი საინტერესო სახელე შესთავაზა. მან მადლობა გადაუხადა გამოფენის ორგანიზატორებს და აღნიშნა, რომ ამგვარ ღონისძიებაში მონაწილეობის მიღება ნებისმიერი გამომცემლობისთვის დიდი პატივია.



„დღევანდელი დღე თსუ-ის უნივერსიტეტის გამომცემლობისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, ამასთან, დიდი ზეიმი იმ ადამიანებისთვის, ვინც სამეცნიერო ლიტერატურით არის დაინტერესებული. გამოფენაზე გამოტანილი პროდუქცია ბოლო 2 წლის მანძილზე შეიქმნა. იმედი მაქვს, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის ხელშეწყობით გამომცემლობა ასეთივე წარმატებით გააგრძელებს სამეცნიერო ლიტერატურის გამოცემას. ფესტივალის საუკეთესო საშუალება ჩვენი მეცნიერების წარმომავლის პოპულარიზაციისთვის“, — აღნიშნა თამარ ებრაღიძემ.

თსუ-ის გამომცემლობის პრეზენტაციას ესწრებოდნენ პარლამენტარი ნუგზარ ნიკოლაური, თსუ-ის რექტორი გიორგი ხუბუა, ადმინისტრაციის ხელმძღვანელების მოვალეობის შემსრულებელი რომან ხარბედიანი, თსუ-ის პროფესორები და სამეცნიერო სფეროს წარმომადგენლები. ნიგნის საერთაშორისო ფესტივალში

მონაწილეობა ყოფილ კოლეგებსა და საუნივერსიტეტო საზოგადოებას პარლამენტარმა ნუგზარ ნიკოლაურმა მიულოცა და აღნიშნა, რომ თსუ-ის გამომცემლობამ, რომელმაც 2 წლის განმავლობაში ასამდე ნიგნი გამოსცა, ღირსეულად დაიმკვიდრა თავისი ადგილი სამეცნიერო სფეროს „დიდ სამუშაოში“, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს თსუ-ის გამომცემლობის საქმიანობის მნიშვნელობას.

პრეზენტაციაზე მონაწილე სტუმრებს სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა გიორგი ხუბუამაც მიმართა. მან მადლობა გადაუხადა თსუ-ის გამომცემლობის კოლექტივსა და ფესტივალის ორგანიზატორებს საინტერესო ღონისძიების ორგანიზებისთვის.

„დარწმუნებული ვარ, მომავალში ჩვენი გამომცემლობის მიერ გამოცემული ნიგნების არეალი უფრო მასშტაბური გახდება. სასიხარულოა, რომ ბოლო დროს სამეცნიერო ლიტერატურით დაინტერესებულ ადამიანთა რაოდენობა გაიზარდა და, ამდენად, ჩვენი მოვალეობაა, მკითხველის მოთხოვნა დაავაკმაყოფილოთ“.

თამარ ებრაღიძის ინფორმაციით, თსუ-ის გამომცემლობამ ნიგნის საერთაშორისო ფესტივალზე წარმოადგინა 2008-2009 წლებში გამოცემული როგორც აკადემიური, ისე დარგობრივი გამოცემები: თანამედროვე ქართული ლიტერატურა, საავტორო და ნათარგმნი ნიგნები ჰუმანიტარულ, საზოგადოებრივ, ტექნიკურ, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, აგრეთვე მედიცინასა და სამართალში, ასევე, სამეცნიერო და კვლევითი პერიოდული გამოცემები.

პრეზენტაციაზე აღინიშნა, რომ სამეცნიერო ფუნდამენტური კვლევების გამოცემა გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული, რადგან ასეთი ნიგნები ნაკლებად იყიდება, თუმცა მისი გამოცემა აუცილებელია ქვეყნის ეროვნული გეოპოლიტიკური განვითარებისთვის.

პროგრამირებაში უმაღლეს სასწავლებელთა შორის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში ქართველმა სტუდენტებმა ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისგან დაკომპლექტებული გუნდი (მწვრთნელი თემური ზარქუა) 18-22 აპრილს სტოკჰოლმში გამართულ პროგრამირებაში უმაღლეს სასწავლებლებს შორის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში მონაწილეობდა. თსუ-ის სტუდენტები ნიკოლოზ ჯიმშელიანი, გიორგი ელ-კვიციანი და ელდარ ბოგდანოვი მოპოვებული წარმატებისთვის ბრინჯაოს მედალებით დაჯილდოვდნენ. მათ 5 საათში 11 ურთულესი ამოცანიდან 6 ამოხსნეს და ფინალის 100 მონაწილეს შორის მეთერთმეტე ადგილზე გავიდნენ. აღნიშნული ღონისძიების სპონსორი გახლდათ IBM; შეჯიბრის ორგანიზატორი — საერთაშორისო ასოციაცია ACM (Association for Computing Machinery).

აღსანიშნავია, რომ პროგრამირებაში უმაღლეს სასწავლებლებს შორის მსოფლიო ჩემპიონატი (ACM ICPC-International Collegiate Programming Contest) 1977 წლიდან ტარდება. ამ ღონისძიებას 1991 წელს ოფიციალურად მიეცა მსოფლიო ჩემპიონატის სტატუსი, ხოლო გამარჯვებული მსოფლიო ჩემპიონად ცხადდება. ACM ICPC მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე მაღალპრესტიჟულ ინტელექტუალურ შეჯიბრებად ითვლება. წლებანდელ ფინალს წინ უძღოდა შესარჩევი შეჯიბრებები, რომლებშიც მონაწილეობდნენ 88 სახელმწიფოს 1838 უნივერსიტეტის 7109 გუნდი. ფინალში მოხვდა 30 სახელმწიფოს 100 საუკეთესო გუნდი. პრიზიორთა მიხედვით ქვეყნების წარმომადგენლობა ასე გამოიყურება: რუსეთი — 4 პრიზიორი, ჩინეთი — 3 პრიზიორი, აშშ — 2 პრიზიორი, დიდი ბრიტანეთი, პოლონეთი, კანადა და საქართველო — თითო პრიზიორი. აღსანიშნავია, რომ საქართველო მოხვდა იმ 7 სახელმწიფოთა რიცხვში, რომელთა წარმომადგენლებმა მსოფლიო ჩემპიონატის მედალები მოიპოვეს.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდმა შემაჯამებელ ცხრილში რეიტინგით გაუსწრო მოსკოვის და ნოვოსიბირსკის სახელმწიფო უნივერსიტეტების, კიევის ეროვნული უნივერსიტეტის, უკრაინის ეროვნული ტექნიკური უნივერსიტეტის, კარნეგი მელონის, სტენფორდის, პრინსტონის, მერილენდის

უნივერსიტეტების, შანხაის და პეკინის უნივერსიტეტების, ბელორუსიის სახელმწიფო უნივერსიტეტების პროგრამისტთა გუნდებს.

წლებანდელი, რიგით მე-10 შეჯიბრება ქართველი სტუდენტებისთვის საიუბილეო გახლდათ. ჩვენი ახალგაზრდები პირველი წარმომადგენლები არიან სამხრეთ კავკასიის ACM ICPC-ის ფინალში შეჯიბრებების ჩატარების ისტორიაში. საინტერესოა, რომ სტოკჰოლმში ჩვენს გუნდს დახვდა უმასპინძლა თსუ-ის კურსდამთავრებულმა ბექარ ბარათაიამ, რომელიც სწორედ იმ გუნდის შემადგენლობაში იყო, რომელმაც 1999 წელს ჩვენი სტუდენტების მონაწილეობის მატიანე გახსნა სანკტ-პეტერბურგში, სადაც ჩატარდა პროგრამირებაში უმაღლეს სასწავლებელთა შორის მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალი. დღეს ბატონი ბექა ქალაქ გიორგობაში პროგრამისტად მუშაობს.

აღსანიშნავია ის ყურადღება, რომელიც საქართველოს საელჩომ ჩვენი პროგრამისტების მიმართ გამოიჩინა. ღონისძიების დასრულებას დაესწრო შევედეთში საქართველოს ელჩის პირველი მრჩეველი საკონსულო და ეკონომიკურ საკითხებში, ბატონი გვარამ ხანდამიშვილი.

ჩვენი სტუდენტების მიღწევები შეფასდება, როგორც ექსტრა-კლასის შედეგი. მსგავსი შედეგების მიღწევა კი შეუძლებელია პრაქტიკის გარეშე, რომელიც მათ განვილი სეზონში ნამდვილად არ აკლდათ.



30 ქართველი მოსწავლე ორკვირიანი სასწავლო პროგრამით საბერძნეთში მომზადდება

13 აგვისტოს თბილისის 1, 68-ე, 44-ე, 72-ე სკოლებისა და ახალციხის მე-6 სკოლის 30 მოსწავლე სპეციალური პროგრამით საბერძნეთში გაემგზავრება. პროგრამა ათენის მერიის დაფინანსებით და თსუ-ის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის ხელშეწყობით ხორციელდება. პროექტი წარჩინებული მოსწავლეების ნახალისებასა და ბავშვებისთვის ცოდნის გაღრმავებას ითვალისწინებს.

ნათო მოლაპა

საქართველოში ბერძნული ენის სწავლების გაძლიერების პროექტი უკვე 10 წელია დაიწყო. ქართული სკოლებში ბერძნული ენის სწავლების კოორდინატორი ფანის სკორდასი აცხადებს, რომ ქართულ სკოლებში ერთ-ერთ უცხო ენად ბერძნული ენის სწავლება საბერძნეთის ინტერესებში შედის. მსგავსი პროექტების შეთავაზება კი

საჯარო სკოლების ადმინისტრაციას სასწავლო პროგრამაში ბერძნული ენის შეტანის სარგებელს უკეთ დაანახებს.

13 აგვისტოდან 27 აგვისტოს ჩათვლით 30 ქართველი მოსწავლე ორ კვირას ათენთან ახლოს მდებარე ბანაკში გაატარებს. ბავშვები კოტეჯებში იცხოვრებენ და სამწერადი უფასო კვებით იქნებიან უზრუნველყოფილი. პროგრამის ფარგლებში შედის ორი ექსკურსია ათენში, სადაც მოსწავლეები ბერძნულ ისტორიულ ძეგლებს დაათვალიერებენ. პროგრამაში ბერძნული ენის 6 მასწავლებელიც იღებს მონაწილეობას. ისინი მოსწავლეებს ზედამხედველობას გაუწევენ და ბავშვებს ბერძნული კულტურის უკეთ შეცნობაში დაეხმარებიან.

საბერძნეთში წასაყვანად მოსწავლეები აკადემიური მაჩვენებლების მიხედვით შეარჩიეს. არჩეულ 30 ბავშვში, საქართველოს მასშტაბით, ბერძნულ ენაში ყველაზე წარჩინებული მოსწავლეები მოხვდნენ.

ჩვენი მიზანია, რომ მათ გაიცნონ ბერძნული კულტურა და პოპულარიზაცია

გაეუწიონ საბერძნეთს. საქართველოში რამდენიმე სკოლაში ბერძნული ენა უკვე ისწავლება, თუმცა ეს არ არის საკმარისი და გვინდა, ამ სკოლების რიცხვი გაიზარდოს”, — განაცხადა ფანის სკორდასმა.

ქართულ საჯარო სკოლებში ბერძნული ენის სწავლების მომზადება თსუ-ის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის ხელმძღვანელი რისმაგ გორდეზიანიც. მას მიაჩნია, რომ განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმის ფარგლებში სასწავლო პროგრამაში შესაძლებელია ბერძნული ენის სწავლების მომზადება. „მოსწავლეების საბერძნეთში წაყვანა, ვფიქრობ, ძალიან დიდი საქმეა. ბავშვები უკეთ შეისწავლიან ბერძნულ ენას, რადგან სულ სხვაა, როდესაც ბერძნულს თავად ბერძენებისგან მოისმენ. ეს არაჩვეულებრივი საჩუქარია ბავშვებისთვის და სწავლის წარმატებით გასაგრძელებლად ძალიან დიდი სტიმულიცაა“, — განაცხადა რისმაგ გორდეზიანიც.

ბერძნული ენა საქართველოში უკვე 20

საჯარო სკოლაში ისწავლება. ათენის მერიის მიერ დაფინანსებული პროგრამა ერთჯერადი ხასიათის არ იქნება და ქართველი წარჩინებული მოსწავლეები საზაფხულო არდადეგებს მომავალ წელსაც ათენის საზაფხულო ბანაკში გაატარებენ.



„ნორჩი ეკონომისტის“ სკოლის პირველი გამოსაშვები საზეიმო საღამო

19 ივნისს თსუ-ის მალღვივი კორპუსის 206-ე აუდიტორიაში „საბავშვო უნივერსიტეტის“ ფარგლებში ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე არსებული „ნორჩი ეკონომისტის“ სკოლის პირველი გამოსაშვები საზეიმო საღამო გაიმართა. ღონისძიებაზე პრიზები და სერტიფიკატები გადაეცაოთ ამავე ფაკულტეტის იმ სტუდენტებს, რომლებმაც საუნივერსიტეტო და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში გაიმარჯვეს. **შურთისა ბაროშვილი**

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსის ინეზა გაგნიძის ინფორმაციით, თსუ-ის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის ინიციატივით, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის თანადგომით წელს პირველად ჩამოყალიბდა „საბავშვო უნივერსიტეტის“ ფარგლებში მოქმედი „ნორჩი ეკონომისტის“ სკოლა, რომელშიც გაერთიანდნენ, დაახლოებით, 20 საჯარო სკოლის IX, X, XI და XII კლასების მოსწავლეები. პროექტში აქტიურად ჩაერთო ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ყველა კათედრა. აღნიშნული პროექტის ფარგლებში შედგა სალექციო კურსის განრიგი, რომლის მიხედვით მთელი წლის განმავლობაში სკოლის მოსწავლეებს ლექციებს უკითხავდნენ პროფესორ-მასწავლებლები.

„ნორჩი ეკონომისტის“ სკოლის მიზანია მოსწავლეთა დაინტერესება ეკონომიკით და ამ სფეროში მიმდინარე პროცესებით. ამ აუდიტორიაში ყოველ შაბათს ტარდებოდა საინტერესო ლექციები. აღსანიშნავია, რომ ამ სკოლაში 200-მდე ახალგაზრდა ჩაენერა. გვინდოდა, რომ ეს სასწავლო წელი ჩვენი მოსწავლეებისთვის ლამაზად დასრულებულიყო, მიუხედავად იმისა, სად გააგრძელებენ ისინი სწავლას. მჯერა, რომ აქედან მათ სიტბო და იმ სპეციალობისადმი ინტერესი გაჰყვებათ, რომლის გაღვივებასაც ვცდილობდით“, — აღნიშნა ინეზა გაგნიძემ.

სტუდენტებსა და მოსწავლეებს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა ჯამლეტ ჯან-ჯღაჯამ მიმართა და წარმატებები უსურვა. მან მადლობა გადაუხადა უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტს, ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის სტუდენტურ თვითმმართველობას, ფაკულტეტის პროფესორებს და სკოლის პედაგოგებს ამ პროექტის წარმატებით განხორციელებისთვის. „ჩვენმა მოსწავლეებმა სამომავლოდ სერიოზული განაცხადი გააკეთეს. მჯერა, რომ ამ ახალგაზრდების გარკვეული ნაწილი შემდგომში თავის მომავალ საქმიანობას ეკონომიკისა და ბიზნესის მეცნიერებებს დაუკავშირებს. პროექტში ჩართულია ბოლნისის ეპარქიის მოსწავლე ახალგაზრდობა, რისთვისაც მადლობა მინდა გადავუხადო ბოლნისის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიის მოძღვარს მამა ბასილს, რომელიც აქტიურად გვეხმარებო-

და. ის ფაქტი, რომ ასეთი ღონისძიება ჩვენს სპეციალობებზე, მარტო დროის მოთხოვნა არ არის — ეს იმ რეფორმების შედეგია, რომელიც ბოლო პერიოდში ფაკულტეტზე განხორციელდა. თუნდაც ის ფაქტი, რომ 3700 აბიტურიენტი პირველ ნომრად შემოხაზული აქვს ჩვენი ფაკულტეტი, მიუთითებს იმაზე, რომ უნივერსიტეტში ბიზნესისა და ეკონომიკის ფაკულტეტი ერთ-ერთი საუკეთესოა.



როგორც „ნორჩი ეკონომისტის“ სკოლის კოორდინატორმა მარი უკლებამ აღნიშნა, „უნივერსიტეტში დიდი ხანია არსებობს და ფუნქციონირებს ნორჩი ქიმიკოსის, ნორჩი ლიტერატორისა და ა.შ. სკოლა, მაგრამ არ იყო „ნორჩი ეკონომისტის“ სკოლა, რადგან ადრე სკოლებში ეკონომიკა არ ისწავლებოდა. მას შემდეგ, რაც ეს საგანი, როგორც დისციპლინა, შევიდა სასკოლო პროგრამაში და მოსწავლეებს შეეძინათ წარმოდგენა ეკონომიკაზე, ჩვენც მოგვეცა საშუალება თსუ-ის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის მონდომებით და ფაკულტეტის ხელმძღვანელების მხარდაჭერით „საბავშვო უნივერსიტეტის“ ფარგლებში ჩამოგვეყალიბებინა „ნორჩი ეკონომისტის“ სკოლა.

მინდა ვაღიარო, რომ თავიდან დარწმუნებული არ ვიყავი, რომ ჩვენი მუშაობა ასე საინტერესოდ წარიმართებოდა. ყოველ შაბათს ამ აუდიტორიაში „ნორჩი ეკონომისტის“ ლექციებს უკითხავდნენ ფაკულ-

ტეტის წამყვანი პროფესორ-მასწავლებლები. მოსწავლეთა და პროფესორ მასწავლებლთა უკეთ გაცნობის მიზნით მოეწყო ექსკურსია ბოლნისის ეპარქიაში. მოსწავლეებმა მოისმინეს ლექცია თემაზე: „ქრისტიანობა და რელიგია“, რომელიც პროფესორმა გიორგი შიხაშვილმა წაიკითხა. შეიქმნა „საბავშვო უნივერსიტეტის“ საიტზე ჩვენი ვებგვერდი, სადაც სისტემატიურად ვაშუქებთ ჩვენს საქმიანობას და ვაქვეყნებთ ახალ ინფორმაციას დაინტერესებულ პირთათვის. ბოლოს კი ჩატარდა წერილი გამოკითხვა მოსწავლეების ცოდნის შესამოწმებლად, გამარჯვებული მოსწავლეები კი საჩუქრებით დაჯილდოვდნენ“, — განაცხადა მარი უკლებამ.

მისი ინფორმაციით, „საბავშვო უნივერ-

სრულდებოდა პროფესორები და სკოლის მასწავლებლებიც დააჯილდოვა.

„ნორჩი ეკონომისტის“ გამოსაშვებ ღონისძიებაზე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა 69-ე სამეცნიერო კონფერენციაში გამარჯვებისათვის ნიგნების ვაუჩერები გადაეცაოთ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტებს: გივი მელქაძეს (I ადგილი — 300-ლარიანი ვაუჩერი), გვანცა დგებუაძეს (II ადგილი — 200-ლარიანი ვაუჩერი), ზვიად სიჭინავას (100-ლარიანი ვაუჩერი). სერტიფიკატები გადაეცაოთ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრის „იდეას“ მიერ ორგანიზებულ კონფერენციაში („მეფუტკრეობის განვითარება საქართველოში“) გამარჯვებულ სტუდენტებს: თამარ ბუზალაძეს, თინათინ იმესამვილს, ნინო ბერბიჭაშვილს, თამარ კაპანაძეს, სალომე ჭუმბურიძეს, ნინო მეზერიშვილს და ხათუნა ოზბეთელაშვილს.

სერტიფიკატები დაიმსახურეს ფაკულტეტის დღისადმი მიძღვნილ სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაში („გლობალიზაცია და საქართველოს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები“) გამარჯვებულმა სტუდენტებმა: თამარ აკოფაშვილმა, გიორგი კახაბრიშვილმა, თინათინ ჩხუტიაშვილმა, ლევან გობეჩიაშვილმა, მაია ზედგენიძემ და ნინო კეკელიძემ.

შავი ზღვის უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ კონფერენციაში და ევროპული კვლევების ინსტიტუტის მიერ ორგანიზებულ კონფერენციაში გაიმარჯვა IV კურსის სტუდენტმა გიორგი ყუფარაძემ (ხელმძღვანელი ი. გოგორიშვილი).

კავკასიის უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო კონფერენციაში II ადგილი დაიკავა ირაკლი გიორბელიძემ, ხოლო ფინალურ ეტაპზე გავიდნენ ნინო ფხიკიძე (ხელმძღვანელი მ. ჯულაყიძე) და მაგისტრანტები: მარიამ ჭურჭელაური (ხელმძღვანელი ი. გაგნიძე) და გიორგი ნიკურაძე (ხელმძღვანელი ი. გოგორიშვილი).

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსის ინეზა გაგნიძის ინფორმაციით, სტუდენტთა ნაშრომები გამოქვეყნდება საფაკულტეტო ჟურნალში „ეკონომიკა და ბიზნესი“.

„ნორჩი ეკონომისტის“ სკოლის გამოსაშვები საღამოს ორგანიზებაში აქტიური მონაწილეობისთვის ფაკულტეტის ხელმძღვანელებმა III კურსის სტუდენტი თათული დუშუავილიც დააჯილდოვა.

„სტუდენტების ასეთი დაფასება სკოლის მოსწავლეებისთვისაც კარგი მაგალითი იქნება. იმედია, ისინი ღირსეულად გააგრძელებენ თავიანთი უფროსი კოლეგების გზას“, — აღნიშნა ღონისძიებაზე.

გირესუნის (თურქეთის) უნივერსიტეტსა და თსუ-ს შორის თანამშრომლობის პერსპექტივები

16 ივნისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში თურქეთსა და საქართველოს შორის თბილისში დადებული ხელშეკრულების „განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სფეროებში თანამშრომლობის შესახებ“ საფუძველზე, გირესუნის (თურქეთის) უნივერსიტეტსა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის ხელი მოეწერა ურთიერთთანამშრომლობის დეკლარაციას აკადემიური და სამეცნიერო თანამშრომლობის თაობაზე.

თამარ მარუაშვილი

მემორანდუმის თანახმად, თანამშრომლობა მოიცავს აკადემიური პერსონალის, მკვლევარების, სტუდენტების გაცვლას და ერთობლივი ღონისძიებების ორგანიზებას.

შეხვედრას ესწრებოდნენ: თსუ-ის რექტორი გიორგი ხუბუა, ფაკულტეტებისა და მიმართულებების ადმინისტრაციის წარმომადგენლები, აკადემიური პერსონალი და სხვა დაინტერესებული პირები.

გირესუნის უნივერსიტეტის დელეგაცია საკმაოდ წარმომადგენლობითი იყო: ვიცე-რექტორი, ბიოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი მუსტაფა თურქმენი, დან-ყებითი განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი ჰასან კულუნკი, ეკონომიკისა და ადმინისტრაციული ფაკულტეტის პროფესორი კაპტან კაპტანგილი და პატმა ჩობანი (გირესუნის პროფესიული სკოლა, შავი ზღვის სტრატეგიული კვლევის ცენტრი).

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის მეზობელი ქვეყნების საგანმანათლებლო ცენტრებთან თანამშრომლობა მნიშვნელოვანი ფაქტორია და იგი კულტურის, მეცნიერების, ხელოვნების სფეროებში ორი ერის ურთიერთგაცნობასა და პარტნიორობას უწყობს ხელს.

„მოხარულნი ვართ, რომ დღეს უნივერ-

რა ჰყავს. უნივერსიტეტს 7 ფაკულტეტი, 10 პროფესიული სკოლა და 3 ინსტიტუტი აქვს, ასევე, 4 კვლევითი ცენტრი, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი შავი ზღვის სტრატეგიული კვლევის ცენტრია, სადაც ხორციელდება შავი ზღვის ქვეყნებთან დაკავშირებული ყველა საკითხის მეცნიერული კვლევა. უნივერსიტეტს 200-მდე აკადემიური პერსონალი და 11 000-მდე სტუდენტი ჰყავს.

დარწმუნებული ვარ, რომ დეკლარაციის საფუძველზე ურთიერთთანამშრომლობა ორივე ქვეყანას სასიკეთოდ წაადგება, — აღნიშნა გირესუნის უნივერსიტეტის ვიცე-რექტორმა, პროფესორმა მუსტაფა თურქმენმა.

შეხვედრაზე მხარეების წარმომადგენლებმა, ფაკულტეტების ადმინისტრაციის წევრებმა ისაუბრეს და ერთმანეთს გააცნეს სასწავლო პროცესის თავისებურებანი, საინტერესო და მნიშვნელოვანი სასწავლო პროექტების, სამეცნიერო კვლევებისა და მუშაობის შედეგები, უცხოეთის უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის პერსპექტივები.

შეხვედრის შედეგებით ორივე მხარე კმაყოფილი ჩანდა. დაისახა უახლოეს პერიოდში განსახორციელებელი სამოქმედო გეგმა, თანამშრომლობის სხვადასხვა ფორმები და სამომავლო პერსპექტივები.



თსუ-ში ბერლინის კედლის დანგრევის 20 წლისთავი აღნიშნეს

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს საქართველოში გერმანიის ელჩის მოვალეობის შემსრულებელი ქრისტიან პერლნჰოსტი სტუმრობდა. დიპლომატმა ბერლინის კედლის დანგრევის 20 წლისთავთან დაკავშირებით სპეციალური მოხსენება წარმოადგინა. ლექციას თსუ-ის ადმინისტრაციის წარმომადგენლები, სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები დაესწრნენ.

ნატო ობოლაძე

ბერლინის კედლის დანგრევის 20 წლისთავთან დაკავშირებით თსუ-ში გერმანიის ელჩის მოვალეობის შემსრულებელთან შეხვედრა რექტორის გიორგი ხუბუას ინიციატივით გაიმართა. შეხვედრა „ამიერკავკასიაში გერმანიის დღეების ფარგლებში“ ჩატარდა.

ბერლინის კედელმა გერმანია ორ ნაწილად გაყო. 1961 წლის 13 აგვისტოს, გამთენიისას, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მცხოვრებთა გერმანიის საზოგადოებრივმა სააგენტომ ვარშავის ხელშეკრულების შინაარსი ამცნო. 13 აგვისტოს დილიდან გერმანელებს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და დასავლეთ გერმანიას შორის საზღვარი დახვდათ. სწორედ მაშინ აიგო „ცივი ომის“ სიმბოლო — „ბერლინის კედელი“. ყველათვის, ვინც მის გადაკვეთას მოინდომებდა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მესაზღვრეებს №101 ბრძანების საფუძველზე ცეცხლი უნდა გაეხსნათ. კედლის გადაკვეთისას პირველი მსხვერპლი აღმოსავლეთ გერმანიის მცხოვრებელი რუდოლფ ურბანი იყო.

კედლის გადაკვეთის გამო ბოლო მსხვერპლი კი 20 წლის კრის გეფფროია. მან №101 ბრძანების გაუქმებამდე ორი კვირით ადრე 1989 წლის 6 თებერვალს კედელზე გადახტომა სცადა, რის გამოც იგი ადგილზე მოკლეს. კედლის სიმაღლე 6 მეტრი, სიგრძე კი 155 კილომეტრი იყო. მას 600 მოდარაჯე ძალი იცავდა. ბერლინის კედელთან 302 საგუშაგო ფუნქციონირებდა.

სტატისტიკური მონაცემებით, კედლის გადაკვეთა მისი აღმართვიდან 5043 ადამიანმა შეძლო, მათ შორის, 574 სამხედრო იყო. კედლის გადაკვეთის ოპერაციის მომზადებისთვის დააპატიმრეს 60 ათასზე მეტი ადამიანი. უშუალოდ კედელთან დააპატიმრეს 3221 ადამიანი. ბერლინის კედლის გადაკვეთისას, საერთო მონაცემების მიხედვით, 1008 ადამიანი მოკლეს, მათ შორის, 40-ზე მეტი ბავშვი და 60 ქალი. კედლის არსებობის მანძილზე მისი დანგრევისა და შტურმით აღების 35 შემთხვევა დაფიქსირებული.



1990 წლის 3 ოქტომბერს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითად კანონს შეუერთდა და საბოლოოდ გაერთიანდა ქვეყნის ორი ნაწილი, რომლებსაც 28 წლის განმავლობაში ბერლინის კედელი ყოფდათ. 1990 წლის 16 ივლისს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერმა ჰელმუტ კოლმა და საბჭოთა კავშირის გენერალურმა მდივანმა მიხეილ გორბაჩოვმა შეღწევისთვის სპეციალური შეთანხმება, რომლის მიხედვით, საბჭოთა კავშირი გერმანიის გაერთიანებას და მის ნატოში შესვლას ეთანხმებოდა. გაერთიანებული გერმანია კი საბჭოთა კავშირთან ეკონომიკური თანამშრომლობის ვალდებულებას იღებდა. ეს შეთანხმება გახდა საბჭოთა კავშირის მხრიდან საბოლოო

თანხმობის დაფიქსირების საფუძველი ორი გერმანიის გაერთიანების თაობაზე.

გერმანიის ელჩის მოვალეობის შემსრულებლის ქრისტიან პერლნჰოსტის მოხსენების შემდეგ თსუ-ის სტუდენტებს, პროფესორ-მასწავლებლებსა და გერმანულ სტუმარს შორის, კითხვა-პასუხის რეჟიმში, პოლიტიკურ და საგანმანათლებლო საკითხებზე აქტიური დისკუსია გაიმართა. თსუ-ის პროფესორ-მასწავლებლებმა გერმანიის ელჩის მოვალეობის შემსრულებელს საქართველოს საჯარო სკოლებში გერმანული ენის შესწავლასთან დაკავშირებული პრობლემები გააცნეს. მოკლედ განიხილეს

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებიც და აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტების გადაჭრის შესაძლებლობები. საქართველოში გერმანიის ელჩის მოვალეობის შემსრულებლის მოსაზრებით, საქართველოში კონფლიქტების მოგვარება რეალური პერსპექტივაა. ქრისტიან პერლნჰოსტი აცხადებს, რომ საქართველოში დემოკრატიის განვითარებისა და, შესაბამისად, ეკონომიკური მდგომარეობის მკვეთრად გაუმჯობესების შემთხვევაში აფხაზეთი და ოსური მხარე ქართველებთან დაახლოების სურვილს თავად გამოთქვამს.

„შენი თვალთ დანახული თბილისი“ — ფოტოკონკურსი

შურთხია ბაროშვილი

„შენი თვალთ დანახული თბილისი“ — ამ სახელწოდებით კინოთეატრ „ამირანში“ ფოტოგამოფენა გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და კავკასიის ბიზნეს სკოლის სტუდენტებმა.

შესარჩევ კონკურსში ორმოცდაათზე მეტმა სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა, რომელთაგან კომპეტენტურმა ჟიურიმ 20 საუკეთესო ფოტო შეარჩია. ფოტოკონკურსის ნამუშევრები შეაფასეს — ცნობილმა ფოტოხელოვანმა იური მეჩითოვმა, „კიკალას სტუდიის“ ხელმძღვანელმა მამუკა კიკალიშვილმა და მსახიობმა გია ცინაძემ („მყუდრო“).

კონკურსის პირობის თანახმად, ნამუშევრებში პოლიტიკური პროცესების ასახვა არ შეიძლება. იური მეჩითოვის აზრით, გამოფენაზე წარმოდგენილ ფოტოებში კარგად არის ავტორთა განწყობა ასახული. „მართალია სტუდენტების ნამუშევრებში სოციალურ ფონს ნაკლები ყურადღება ექცევა, მაგრამ ასეთი თბილისიც არსებობს. ამ კონკურსში მონაწილე ყველა სტუდენტს აქვს იმის პოტენციალი, რომ მომავალში თავისი საქმის პროფესიონალი გახდეს“, — აღნიშნა იური მეჩითოვმა.

ჟიურიმ 10 საუკეთესო ფოტო გამოავლი-

ნა. მათი აზრით, თბილისის დღევანდელი ყოფა და განწყობილება საინტერესოდ ასახეს სტუდენტებმა: ნინო მეგენიევილიმა, კონსტანტინე გოგოზიამ, მიშა სამხარაძემ, სოფო მაისურაძემ, გიორგი იმნაძემ, ია მელითაურმა, ნანა კავიჩმა, ნატალია ბურდულმა, ანი გულდერევაძემ და ლაშა ლულუნიშვილმა.

როგორც ღონისძიების ორგანიზატორებმა აღნიშნეს, მათი ნამუშევრები კინოთეატრ „ამირანის“ ფოიეში დაიკიდება.

ჟიურიმ პირველი ადგილი მიხეილ სამხარაძეს მიანიჭა, რომელმაც საჩუქრად „კოდაკის“ ფოტომომსახურების 250 ლარიანი სერტიფიკატი მიიღო. კომპანია „რედბულმა“ კი, რომელმაც ამავე დროს გამოფენის სპონსორობა ითავა, გამარჯვებულს სპეციალური სასაჩუქრე პაკეტი გადასცა.

მეორე და მესამე ადგილები ნინო მეგენიევილიმა, კონსტანტინე გოგოზიამ და სოფო მაისურაძემ გაინაწილეს. მათ კინოთეატრ „ამირანის“ 8 ბილეთი მიიღეს საჩუქრად.

ღონისძიების ორგანიზატორმა, თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენელმა ბექა გოლუთიანმა გამოფენის მოწყობაში ხელშეწყობისთვის მადლობა გადაუხადა კომპანია „რედბულს“, უნივერსიტეტისა და კინოთეატრ „ამირანის“ ხელმძღვანელობას და აღნიშნა, რომ ახალგაზრდა, ნიჭიერ ფოტოგრაფთა ხელშეწყობა და ნახალისება მომავალშიც გაგრძელდება.

მე-7 გვირგვინი

საქართველოს რესურსების დამალვით, მოპარვით ან განადგურებით;

ი) სხვა სტრუქტურისათვის ხელის შეწყობას აკადემიურ სიყალბეში;

კ) კვლევითი სამუშაოების ფაქტობრივი ინფორმაციის გამოყენებას ან გაყალბებას;

ლ) კონფიდენციალური ინფორმაციის გამოყენებას.

მ) შეფასების მიღების მცდელობას გამომცემელზე მუქარით, ფიზიკური, ან ფსიქოლოგიური ზემოქმედებით, მოტყუებით, თაღლითობითა, თუ სხვა დაუშვებელი ხერხებითა და ქმედებით;

3.4.4. აკადემიური სიყალბის დაფიქსირების შემთხვევაში, სტუდენტი ვალდებულია ამის შესახებ აცნობოს შესაბამის სტრუქტურას.

3.4.5. სტუდენტი ვალდებულია დაემორ-

ჩილოს უნივერსიტეტის საქმიანობის მარეგულირებელ წესებს.

3.4.6. სტუდენტისათვის არაეთიკურ და კანონსაწინააღმდეგო ქცევად ჩაითვლება თამბაქოს მოწევა უნივერსიტეტის შენობაში.

3.4.7. სტუდენტის მიერ ეთიკური ნორმების დარღვევისათვის დადგენილია თსუ-ს შინაგანაწესითა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებით გათვალისწინებული ზომები.

3.4.8. უნივერსიტეტის სტუდენტი ვალდებულია:

ა) დაიცვას ეთიკისა და ქცევის საყოველთაოდ მიღებული ნორმები;

ბ) გაუფრთხილდეს უნივერსიტეტის კუთვნილ ქონებას. აღნიშნული პუნქტის დარღვევის შემთხვევაში, სტუდენტს

ეკისრება მატერიალური ზარალის ანაზღაურების ვალდებულება, რაც დაიქვითება მისი სწავლის საფასურიდან.

3.4.9. უნივერსიტეტი ვალდებულია „უმალესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესისა და სხვა საკანონმდებლო აქტების შესაბამისად, დაიცვას სტუდენტის უფლებები.

3.5. **დასკვნითი ნაწილი**

3.5.1. პიროვნების პასუხისმგებლობა იზრდება ნორმების განმეორებით დარღვევის ან დისციპლინური გადაცდომის ხარისხის პროპორციულად.

3.5.2. აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის წარმომადგენლის, ასევე მასწავლებლებისა და მოწვეუ-

ლი პედაგოგების მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის შეფარდება ხდება, შესაბამისად, რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით. მიღებული გადაწყვეტილება დაინტერესებულ პირს წერილობით უნდა ეცნობოს. გადაწყვეტილება აუცილებლად უნდა იყოს დასაბუთებული.

3.5.3. სტუდენტის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხს წყვეტს ფაკულტეტის საბჭო, უნივერსიტეტის წესდების, შინაგანაწესის, დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმების, ეთიკის კოდექსისა და „უმალესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. სტუდენტს უფლება აქვს დაეწინაუროს თავისი საქმის განხილვას და ისარგებლოს კანონით გათვალისწინებული სხვა უფლებებით.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შინაგანაწესი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები

თავი I ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. შინაგანაწესისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმების მიზნები

საჯარო სამართლის იურიდიული პირის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში — თსუ) შინაგანაწესი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები განსაზღვრავს თსუ-ის შრომის განაწესს, დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომებს და მიზნად ისახავს:

ა) შრომის დისციპლინის დაცვის უზრუნველყოფას;

ბ) თსუ-სა და მასში დასაქმებულ პერსონალს შორის სამსახურის განხორციელებასთან დაკავშირებული ურთიერთობების მონესრიგებას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით;

გ) პერსონალის უფლებებისა და თავისუფლების განხორციელების ხელშეწყობას;

დ) შრომის სამართლიან ანაზღაურებას;

ე) პერსონალისათვის სამუშაოს უსაფრთხო და ჯანსაღი პირობების შექმნას;

ვ) პერსონალისა და მესამე პირების ურთიერთობისას ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების, კანონიერი ინტერესების გამოხატვასა და დაცვას;

ზ) სამსახურში ეთიკური ნორმების დაცვის უზრუნველყოფას.

მუხლი 2. შინაგანაწესისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმების წყაროები

წინამდებარე შინაგანაწესი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები შემუშავებულია საქართველოს კონსტიტუციის, „უმალესი განათლების შესახებ“, „საქართველოში თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონების, საქართველოს შრომის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსების, საჯარო სამართლის იურიდიული პირის — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების საფუძველზე.

მუხლი 3. პერსონალის მიერ შინაგანაწესისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმების შესრულება

პერსონალი სპეციალურად, კვალიფიკაციისა და თანამდებობის გათვალისწინებით, გარკვეული სამუშაოს შესრულების, შრომის ხელშეკრულების პირობების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დაცვის ვალდებულების გარდა, ასევე ვალდებულია, სპეციალური მითითების გარეშე, დაიცვას წინამდებარე შინაგანაწესი, დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები და ყველა სხვა სამართლებრივი აქტი, რომელიც მის საქმიანობას ეხება და სამსახურებრივ ადგილს უკავშირდება.

მუხლი 4. შინაგანაწესისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმების მოქმედების სფერო

შინაგანაწესისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმების შესრულება სავალდებულოა თსუ-ში მომუშავე პერსონალისათვის.

თავი II სამუშაო და დასვენების დრო

მუხლი 5. სამუშაო დრო

1. სამუშაო დრო წარმოადგენს კალენდარული დროის ნაწილს, რომლის განმავლობაშიც პერსონალი ვალდებულია განახორციელოს თავისი სამსახურებრივი უფლება-მოვალეობანი.

2. თსუ-ში დაწესებულია ხუთდღიანი სამუშაო კვირა ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით.

3. ყოველდღიურად სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების დრო განისაზღვრება 09:00 საათიდან 18:00 საათამდე. აკადემიური პერსონალის, მასწავლებლებისა და მოწვეული პედაგოგებისათვის სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების დრო დაკავშირებულია აუდიტორული, საკონსულტაციო და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების შესრულებასთან.

4. სასწავლო პროცესის მოთხოვნების გათვალისწინებით, პერსონალისათვის დასაშვებია 6 დღიანი სამუშაო კვირა, არა უმეტეს 41 საათისა კვირაში.

5. თსუ-სა და პერსონალს შორის სამუშაო დროის ხანგრძლივობა შესაძლებელია განისაზღვროს ურთიერთშეთანხმებით შრომის კანონმდებლობის საფუძველზე.

6. სამუშაო დღეებს (ცვლებს) შორის დასვენების ხანგრძლივობა არ უნდა იყოს 12 საათზე ნაკლები.

7. ცვლაში მუშაობა და ერთი ცვლიდან მეორეში გადასვლა განისაზღვრება ცვლიანობის განრიგით, რომელსაც ამტკიცებს თსუ სამუშაოს სპეციფიკის გათვალისწინებით. ცვლიანობის განრიგის ცვლილების შესახებ თსუ-ის თანამშრომელს უნდა ეცნობოს 10 დღით ადრე.

მუხლი 6. დასვენების დღეები

1. თსუ-ში დადგენილია ორი (შაბათი და კვირა) დასვენების დღე კვირაში, გარდა 11თვის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

2. თსუ-ის პერსონალს, ასევე, უფლება აქვს დაისვენოს საქართველოს შრომის კოდექსით დადგენილ უქმე დღეებში.

მუხლი 7. სამსახურში გამოცხადებისა და სამუშაო ადგილიდან წასვლის წესი

თსუ-ის პერსონალი ვალდებულია დააფიქსიროს სამუშაოზე მისი გამოცხადებისა და სამუშაო ადგილიდან გასვლის ფაქტები თსუ-ში საამისოდ გამოყოფილ ადგილას სარეგისტრაციო აპარატის მეშვეობით. აღნიშნულის დაცვა სავალდებულოა დასვენებისა და უქმე დღეებში მუშაობისას (ასეთის არსებობის შემთხვევაში). სარეგისტრაციო აპარატში დაფიქსირებულ მონაცემე-

ბზე კონტროლს ახორციელებს მონიტორინგის დეპარტამენტი.

მუხლი 8. სამუშაოზე დაგვიანება

1. სამუშაოზე დაგვიანებად მიიჩნევა პერსონალის მიერ სამუშაო დროს სამუშაო ადგილზე დაგვიანებით გამოცხადება.

2. სამუშაოზე დაგვიანება შესაძლებელია ჩაითვალოს საპატიოდ, ან არასაპატიოდ წინამდებარე შინაგანაწესისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმების მე-9 მუხლით დადგენილი წესების დაცვის შემთხვევაში.

3. სისტემატურ დაგვიანებად ჩაითვლება პერსონალის მიერ, ხუთჯერ სამუშაო ადგილზე დაგვიანებით გამოცხადება, რომელიც მიიჩნევა არასაპატიოდ და იწვევს ხელშეკრულების შეწყვეტას.

მუხლი 9. პერსონალის მიერ გაცდენილი სამუშაო დროის საპატიოდ, ან არასაპატიოდ ჩათვლა

1. სამუშაოზე დაგვიანება და სამუშაო დროის სხვა სახის გაცდენა საპატიოდ ჩაითვლება თუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (ან მისი მოვალეობის შემსრულებელი) დააკმაყოფილებს პერსონალის ზეპირ, ან წერილობით თხოვნას დაგვიანების საპატიოდ ჩათვლის თაობაზე. ამ მიზნით, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი უფლებამოსილია დაგვიანებისთანავე თავის დაქვემდებარებაში მყოფ პერსონალს მოსთხოვოს მოხსენებითი ბარათის წარმოდგენა.

2. იმ შემთხვევაში, თუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელი სამუშაოზე დაგვიანების, ან სამუშაო დროის სხვა სახის გაცდენის თაობაზე აკმაყოფილებს პერსონალის ზეპირ ან წერილობით განცხადებას — მოხსენებით ბარათს, აღნიშნული დრო მიიჩნევა საპატიოდ.

3. პერსონალის მართვის დეპარტამენტი ყოველი თვის არა უგვიანეს 10 რიცხვისა, ახდენს სარეგისტრაციო აპარატის მონაცემების ანალიზს და აწვდის მონიტორინგის დეპარტამენტს მის ხელთ არსებული მონაცემებისა და პერსონალის მართვის დეპარტამენტის მასალების შეჯამების შედეგებს გაცდენილი სამუშაო საათების შესახებ წარუდგენს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს შემდგომი რეაგირებისათვის.

4. სამუშაოზე არასაპატიოდ დაგვიანების ან/და სამუშაოს არასაპატიოდ გაცდენის შემთხვევაში, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი უფლებამოსილია გამოიყენოს დადგენილი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა.

5. სამუშაოზე არასაპატიოდ დაგვიანებად და სამუშაოს არასაპატიოდ გაცდენად არ ჩაითვლება პერსონალის მიერ სამუშაო დროს სამსახურებრივი მოვალეობის თსუ-ის შენობის გარეთ შესრულება, რაც გამოწვეული იყო შესასრულებელი სამუშაოს სპეციფიკით და აღნიშნულის თაობაზე ინფორმირებული იყო ადმინისტრაციის ხელმძღვანელი. პერსონალი ინფორმაციას სამუშაო დროს სამსახურებრივი მოვალეობის თსუ-ის შენობის გარეთ შესრულების შესახებ ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარუდგენს მოთხოვნის შემთხვევაში.

6. გაცდენილი სამუშაო დრო, არასაპატიოდ ჩათვლის შემთხვევაში, არ ანაზღაურდება.

მუხლი 10. წინასწარ ცნობილი მიზეზით სამსახურში გამოუცხადებლობა

1. წინასწარ ცნობილი მიზეზით სამსახურში გამოუცხადებლობის შემთხვევაში, პერსონალი ვალდებულია, წინასწარ, მიმართოს დეპარტამენტის/სამსახურის უფროსს შემდგომში სამსახურში არყოფნის მიზეზების, სავარაუდო პერიოდის, მის მიერ გადაუდებლად შესასრულებელი სამუშაოს მითითებით და ითხოვოს ამ ხნის განმავლობაში სამსახურებრივი ვალდებულებებისაგან დროებით გათავისუფლება. 2 დღეზე მეტი ვადით წინასწარ ცნობილი მიზეზით სამსახურში გამოუცხადებლობის შემთხვევაში, მიმართვა უნდა იყოს წარმოდგენილი წერილობით სახით, ხოლო 2 დღეზე ნაკლები ვადით - წერილობითი, ან ზემოთი ფორმით დეპარტამენტის/სამსახურის უფროსის მოთხოვნის შესაბამისად. აღნიშნულის თაობაზე, დეპარტამენტის/სამსახურის უფროსი ინფორმაციას აწვდის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს.

2. სამუშაოდან დროებით გათავისუფლების თხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში პერსონალი ვალდებულია ჩვეულ რეჟიმში განაგრძოს სამსახურებრივი საქმიანობა. წინამდებარე შემთხვევაში, მისი ქმედება განიხილება სამუშაოს არასაპატიო მიზეზით სამუშაოს გაცდენად და თსუ უფლებამოსილია მის მიმართ გამოიყენოს დადგენილი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა.

მუხლი 11. წინასწარ უცნობი მიზეზით სამსახურში გამოუცხადებლობა

1. წინასწარ უცნობი მიზეზით სამსახურში გამოუცხადებლობის შემთხვევაში, პერსონალი ვალდებულია, შესაძლებლობის ფარგლებში, დაუყოვნებლივ სიტყვიერად (ტელეფონით) აცნობოს დეპარტამენტის/სამსახურის უფროსს სამსახურში გამოუცხადებლობის მიზეზი, სავარაუდო პერიოდი და ინფორმაცია მის მიერ დაუყოვნებლივ შესასრულებელი სამუშაოს შესახებ, გამოცხადების შემდეგ კი, მოთხოვნის შემთხვევაში, უმოკლეს დროში წარუდგინოს მას მოხსენებითი ბარათი. დეპარტამენტის/სამსახურის უფროსი თავის მხრივ აღნიშნულის შესახებ ინფორმაციას აწვდის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს.

2. 2 დღეზე მეტი ვადით წინასწარ უცნობი მიზეზით სამსახურში გამოუცხადებლობის შემთხვევაში, პერსონალმა წერილობით უნდა მიმართოს დეპარტამენტის/სამსახურის უფროსს გაცდენილი დროის საპატიოდ ჩათვლის თხოვნით.

3. წინასწარ უცნობი მიზეზით სამსახურში გამოუცხადებლობა შესაძლებელია ჩაითვალოს საპატიოდ წინამდებარე შინაგანაწესისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმების მე-9 მუხლით დადგენილი წესების დაცვის შემთხვევაში.

მწერალი დათო ბარბაქაძე სტუმრად უნივერსიტეტში

„მოვუსმინოთ შემოდგომას“, „პოეზია და პოეტიკა“, „ლოგიკის მონატრება“, „გამგზავრე-ბამდე ერთი ნუთით ადრე ან ერთი ცხოვრებით ადრე“, „შეჯამების უარყოფა“, „ტბის სანაპიროს სიმღერები“, „აქილევსის მეორე ქუსლი“ — ეს დათო ბარბაქაძის კრებულების არასრული ჩამონათვალია, რომლითაც მწერალმა ქართველი მკითხველის ყურადღება დაიმსახურა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მწერალ დათო ბარბაქაძესთან გამართულ შეხვედრაზე უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა გიორგი ხუბუამ აღნიშნა, რომ მწერლის მიერ განვლილი შემოქმედებითი გზა რთული და საინტერესოა. დასაფასებელია მისი, როგორც მწერლური, ისე მთარგმნელობითი საქმიანობაც.

შურთისა ბარბაქაძე

თსუ-ის „ლიტერატურული სახელოსნოს“ ხელმძღვანელმა, პოეტმა ქეთი შენგელიამ დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა მწერალი და მისი მოკლე ბიოგრაფია გაცნო. დათო ბარბაქაძემ 1991 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტი დაამთავრა, რის შემდეგაც, 1992-1994 წლებში სწავლობდა ასპირანტურაში (სოციოლოგიის კათედრაზე). ამ პერიოდში მწერალმა დააარსა ლიტერატურული ვიდეოკლუბი „დათო ბარბაქაძის ჟურნალი“ და ლიტერატურული ჟურნალი „პოლილოგი“, რომელთა პრეზენტაცია თსუ-ში გაიმართა. 1994 წელს დათო ბარბაქაძემ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ნაიკითხა 11 ლექციისგან შემდგარი კურსი, რომელიც მიმდინარე ევროპული ლიტერატურულ-ფილო-

სოფიური კონტექსტისა და მისი ისტორიის ანალიზს მიეძღვნა. 1990 წლიდან 2001 წლამდე იგი უძღვებოდა აკადემიურ სალექციო კურსებს დედაქალაქის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში, მათ შორის, თბილისის სასულიერო სემინარიასა და აკადემიაში. ამჟამად დათო ბარბაქაძე მუშაობს „რუსთაველის ფონდში“ სამეცნიერო პროექტების კოორდინატორად. 2002-2005 წლებში იგი ლიტერატურულ მოღვაწეობას ეწეოდა გერმანიაში, სადაც, იმავდროულად, მიუხედავად უნივერსიტეტში სწავლობდა ფილოსოფიას, ძველ ისტორიასა და სოციოლოგიას. მისი ნაწარმოებები თარგმნილი და გამოქვეყნებულია ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ, ასევე, პოსტსაბჭოთა ქვეყნების თითქმის ყველა ენაზე. საქართველოს ფარგლებს გარეთ მიღებული აქვს არაერთი ლიტერატურული პრემია და სტიპენდია.

დათო ბარბაქაძემ 2005 წელს დაიწყო XX საუკუნის ავსტრიული პოეზიის ოცდაათ-



ტომეულის საგამომცემლო პროექტის განხორციელება. როგორც მწერალმა შეხვედრაზე განაცხადა, უკვე გამოცემულია 7 ტომი, რომელიც მწერალმა სტუდენტებთან შეხვედრაზე წარმოადგინა. მასში შესულია უდიდესი ავსტრიელი პოეტების: რაინერ მარია რილკეს, ანტონ ვილდგანსის, ალბერტ ერენ-შტაინის, ფელიქს ბრაუნის და სხვათა ლექსები. მრავალტომული ორენოვანია, კრებული-ში შესული ლექსები ნათარგმნია ვახუშტი

კოტეტიშვილის, ჯემალ აჯიშვილის, გივი ალხაიშვილის, ბესიკ ადეიშვილის, დალი ფანჯიკიძის, ნანა გოგოლაშვილის, შორენა შამანაძის, ბათუ დანელიას და სხვათა მიერ. თითოეული ავტორის თარგმანს ნინასიტყვაობის სახით უძღვის დათო ბარბაქაძის ვრცელი შესავალი წერილები, თითოეულ ტომს დართული აქვს კომენტარები.

შეხვედრაზე მწერლის შემოქმედებაზე ისაუბრეს პოეტმა ლია სტურუამ, პროფესორმა გივი გაჩეჩილაძემ, ბელა ნიფურია და სხვებმა, რომლებმაც აღნიშნეს, რომ დათო ბარბაქაძე თანამედროვეობის ერთ-ერთი გამორჩეული მწერალია. გამომსვლელებმა ისაუბრეს დათო ბარბაქაძის შემოქმედებასა და თარგმანებზე და წარმატება უსურვეს მას. ამის შემდეგ დამსწრე საზოგადოებასთან გაიმართა დისკუსია თანამედროვე ლიტერატურულ საკითხებზე და დღევანდელ კულტურულ სივრცეში არსებულ შემოქმედებით პროცესებზე. მწერლებმა გაამახვილეს ყურადღება თანამედროვე ლიტერატურის კრიტიკული შეფასების უზარისხოვასა და სიმნიერზე, აგრეთვე აღნიშნა, რომ მწერლებმა დღეის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ქართველ თანამედროვე შემოქმედთათვის და რომ საზოგადოებას უამრავი ახალი ნიგნის ხილვის საშუალება მიეცა.

შეხვედრის ბოლოს დათო ბარბაქაძემ საკუთარი ლექსები წაიკითხა.

უნივერსიტეტის ადმინისტრაცია უნივერსიტეტის სპორტკლუბის სამჭიდელთა ნაკრებს შეხვდა

16 ივნისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაცია უნივერსიტეტის სპორტკლუბის სამჭიდელთა ნაკრებს შეხვდა და საქართველოს თასზე მოპოვებული გუნდური პირველი ადგილი მიულოცა.

უნივერსიტეტის ნაკრებმა საერთო ჯამში 12 პირველი ადგილი, 8 მეორე ადგილი და 2 მესამე ადგილი მოიპოვა.

ნაკრების მწვრთნელის, ზურაბ ჭავჭავაძის ინფორმაციით, საპრიზო ადგილები მოიპოვეს: ძალისმიერ სამჭიდელში: ჯაბა ლობ-

ნელიშვილი (II ადგილი; თსუ-ის დაცვის ინსპექტორი). მანვე დაამყარა საქართველოს რეკორდი ამონევაში (246 კგ) (67,5 კგ-მდე წონითი კატეგორია); დავით ხარატიშვილი (II ადგილი; თსუ-ის დაცვის ინსპექტორი); 75 კგ-მდე წონითი კატეგორია); ალექსანდრე ფეიქრიშვილი (III ადგილი; ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი); 90 კგ-მდე წონითი კატეგორია); რუბენ ქარქუსაშვილი (II ადგილი; თსუ-ის სპორტკლუბის წევრი; 100 კგ-მდე წონითი კატეგორია);

ნოლჭიშვილი: ზაურ ჯავახიშვილი (I ადგილი; თსუ-ის დაცვის ინსპექტორი; 67,5 კგ-

წონითი კატეგორია); არკადი არტემიანა (II ადგილი; თსუ-ის სპორტკლუბის წევრი; 67,5 კგ-მდე წონითი კატეგორია); ლევან გილიგაშვილი (I ადგილი; თსუ-ის სპორტკლუბის წევრი; 76 კგ-მდე წონითი კატეგორია); სერგო ანაშვილი (I ადგილი; თსუ სპორტკლუბის წევრი; 82,6 კგ-მდე წონითი კატეგორია); ლევან ციციშვილი (II ადგილი; სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, III კურსი; 82,6 კგ-მდე წონითი კატეგორია); ლევან გიგუაშვილი (III ადგილი; თსუ-ის სპორტკლუბის წევრი; 82,6 კგ-მდე წონითი კატეგორია); რამაზ აზარიაშვილი (I ადგილი; თსუ-ის სპორტკლუბის წევრი, 100 კგ-მდე წონითი კატეგორია); ნიკა ჯადუგიშვილი (II ადგილი; თსუ-ის სპორტკლუბის წევრი, 100 კგ-მდე წონითი კატეგორია); თემურ ლუტიძე (I ადგილი; თსუ-ის სპორტკლუბის წევრი; 110 კგ-მდე წონითი კატეგორია); ავთო მამალაძე (I ადგილი; თსუ-ის სპორტკლუბის წევრი; 125-კგ-მდე წონითი კატეგორია); ზურაბ ჭავჭავაძე (I ადგილი, თსუ-ის კულტურისა და სპორტის ცენტრის მწვრთნელი; + 125 კგ-მდე წონითი კატეგორია);

ბიცფსებით წონის აწევაში: გიორგი ფურცელაძე (I ადგილი; თსუ-ის სპორტკლუბის წევრი; 60 კგ-მდე წონითი კატეგორია); შალვა აკოფაშვილი (II ადგილი; თსუ-ის სპორტკლუბის წევრი; 60 კგ-მდე წონითი კატეგორია); ლევან ნურნუშია (I ადგილი; თსუ-ის სპორტკლუბის წევრი; 67,5 კგ-მდე წონითი კატეგორია); როლანდ შარაძე გავიდენ. III ადგილი კი ტატიო ჯახაიას.

ქუჩის კალათბურთში საუკეთესო მსროლელად დავით მუშლაძე დასახელდა, საუკეთესო მოთამაშის ტიტული ზაქარ კვიციანი მიიღო. შეჯიბრში ორი გამარჯვებული ჯგუფი გამოვლინდა. I ადგილი გუნდმა „ჩენ“ დაიკავა, II ადგილზე კი ჯგუფი „შოკიფი“ გავიდა. პირველ ადგილზე გასულ გუნდს საჩუქრად გარდამავალი თასი და 500-ლარიანი ვაუჩერი გადაეცა.

ფულადი ჯილდო და გარდამავალი თასი მიიღო მინი ფეხბურთში გამარჯვებულმა გუნდმა „ჯაბურმა“. თსუ-ის ფარგლებში საუკეთესო მეკარედ ალექსანდრე იაკობიძე დასახელდა. ტურნირის ბომბარდირი ირაკლი მაისურაძე გახდა, საუკეთესო მოთამაშე კი კაკო სხირტლაძე. III ადგილზე გუნდი „პუმა“ გავიდა, II ადგილი კი გუნდი „უშბას“ ერგო.

თსუ-ის სპორტული შეჯიბრების ფარგლებში მან-სან-კანიც ჩატარდა, სადაც საუკეთესო ხუმრობები ჯგუფმა „საცილის კოდექსმა“ წარმოადგინა.

თსუ-ის სპორტსმენების დაჯილდოების ცერემონიას ქართველი მომღერლებიც დაესწრნენ. ქრისტინე იმედაძე, ნინო ბადურაშვილი, მარიკა თხელიძე და თიკა ჯამბურია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურისა და სპორტის ცენტრმა მოინვია. მომღერლებმა რამდენიმე სიმღერა შესარულეს.



საუნივერსიტეტო უნივერსიადა დასრულდა

ნათო ოზოლაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმართვლობის ორგანიზებით 19 მაისს თსუ-ში სპორტული დაჯილდოების ცერემონიალი გაიმართა. შიდა საუნივერსიტეტო უნივერსიადა ამა წლის 25 მარტიდან 15 ივნისის ჩათვლით სხვადასხვა სპორტულ სახეობებში გაიმართა. გამარჯვებულები გამოვლინდნენ მინი ფეხბურთში, ქუჩის კალათბურთში, მკლავჭიდში, ჭადრაკში, მაგიდის ჩოგბურთსა და ბილიარდში. შეჯიბრის თსუ-ის კულტურისა და სპორტის ცენტრის ორგანიზებით მოეწყო.

მაგიდის ჩოგბურთში გოგონებს შორის I ადგილის მფლობელი მარი თხელიძე გახდა, ვაჟებს შორის - ოთარ შარაშენიძე; II ადგილი თამარ ჯოხაძემ და დავით გოგიჩაიშვილმა დაიკავეს; III ადგილზე კი თამარ ყარანაშვილი და როლანდ შარაძე გავიდნენ. ჭადრაკში გამარჯვებულები სპეციალური სიგელებითა და მედლებით ოლიმპიურმა ჩემპიონმა მათა ლომინიშვილმა დააჯილდოვა. I ადგილი - მაღონა ბოკუჩავა, ვაჟებს შორის - რომა ჩიტაძე; II ადგილი - ნინო ხორჯაძე, არჩილ კვატაშიძე; III ადგილი - ქეთი ლუღუშაური, გიორგი ჯავახაძე.

მკლავჭიდში 70 კილოგრამ წონით კატეგორიაში I ადგილი გიორგი ჯულუღმა დაიკავა, II ადგილი - პაატა ნადირაძემ, III ადგილი კი დიმიტრი ჯინჭარაძემ. 70 კილოგრამს ზემოთ კატეგორიაში I ადგილზე ნიკოლოზ ახალბე-



▶ **ტაივანში** სულ ახლახან დაასრულეს შესანიშნავი სტადიონის მშენებლობა, რომელიც მზის ენერჯიაზე მუშაობს და საჭირო ელექტროენერჯის 100%-ს ფოტო-ელექტროლი ტექნოლოგიების საშუალებით გამოიმუშავებს. პროექტი, რომელსაც სახელად ტოიო იტო უწოდეს, 50 000 ადგილზე გათვლილი. დრაკონის ფორმის არენას 8,844 მზის პანელი ფარავს, სარბენ ბილიკს კი 3000 ნათურა ანათებს. სტადიონის მშენებლობა ყოველთვის მასშტაბურ ღონისძიებად ითვლება, რადგან კოლოსალურ ფიზიკურ შრომას და დიდ მატერიალურ სახსრებს მოითხოვს. მის ამუშავებას კი, ასევე, ჭარბი ელექტროენერჯია სჭირდება. ახალმა პროექტმა ეს ხარჯები მინიმუმამდე შეზღუდა შესანიშნავი მზის სახურავის წყალობით, რომელიც 14,155 კვ. მეტრზეა გადაჭიმული და სტადიონის 3300 ნათურას და ორ გიგანტურ ეკრანს კვებავს. არქიტექტურის ეს შესანიშნავი ნიმუში წლის ბოლოს გაიხსნება და 2009 წლის მსოფლიო ჩემპიონატს უმასპინძლებს.

▶ **ავტომობილებმა** General Motors წარმოადგინა ახალი თაობის ელექტრომობილი, რომელიც, მათი აზრით, საქალაქო ტრანსპორტს სახეს მთლიანად შეუცვლის. ეს ორბორბლიანი და ორადგილიანი მანქანა სულ 136 კილოგრამს იწონის. მისი მაქსიმალური სისწრაფე 40-56 კმ.სთ. იქნება. დატენილი ბატარეების შესაძლებლობა ასევე 40-56 კილომეტრს ყოფნის, თუმცა ენერჯია დამუხრუჭების ხარჯზეც ემატება. აი, ბატარეების სრულ დატენას კი 8 - 10 საათი დასჭირდება. მართვის სისტემა ძალიან მარტივია ან, როგორც თავად განაცხადეს, „ინტუიციურად გასაგებია“. ფორმის წარმომადგენლობის აზრით, ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც მანქანათმშენებლობის კონსტრუქცია ტრადიციულ სიჩქარის კოლოფს ასცდა.



▶ **„გადამატებითი მსოფლიო ბიბლიოთეკა! ნუ აწვალბებთ ნიგნებს და ნუ დაატყვევებთ მას თაროებზე. თუ იცით, რომ მეტად აღარ ნაიკითხავთ, მიანიჭეთ თავისუფლება! ვიღაც აუცილებლად იპოვის და ნაიკითხავს!“** - განაცხადა ინტერნეტ-ტექნოლოგიების ცნობილმა სპეციალისტმა რომ ჰორნბერიკერმა და სათავე უჩვეულო მოძრაობას დაუდო, რაც უამრავმა ქვეყანამ აიტაცა. მოძრაობის პრინციპი მარტივი და გასაგებია: საკმარისია შეხვიდე საიტზე bookcrossing.com, ნიგნი რეგისტრაციაში გაატარო და მიუთითო — სად დატოვებ, რომ საიტი მაშინვე საიდენტიფიკაციო ნომერს გამოყოფს, რომელიც ნიგნზე მაგრდება. აქვე ვთავაზობენ, რომ ნიგნები თხელი ცელოფანით შეფუთოთ, რათა ნემამ არ გააფუჭოს. გარდა ამისა, სხვა წინადადებებსაც შეგიძლიათ გაეცნოთ და სასურველი ნიგნი შეარჩიოთ. საიტს მშ-

ვენიერი შესაძლებლობა აქვს — ნიგნების მოძრაობას თვალი მიადევნოს. მაგალითად გერმანიის ერთ-ერთ ქალაქში დატოვებული ცვეციის ნიგნებმა (ინგლისური ვერსია) ჯერ ბავარი-აში, შემდეგ ფინეთში, დიდ ბრიტანეთში, პარიზში, ტურინსა და ლისაბონში იმოგზაურა. საიტის უკანასკნელი მონაცემებით, ამ მოძრაობას უკვე 750 000 კაცი შეუერთდა.




▶ **დიდ ბრიტანეთში** ექსპერტები გაოგნებული დატოვა 2 წლის გოგონამ ჯორჯია ბრაუნმა, როდესაც 1 ტესტების 152 ქულა მოაგროვა და მსოფლიოში ყველაზე ჭკვიანი ადამიანების 2%-იან სიაში მოხვდა. ახლა ჯორჯია ბრაუნის მსოფლიოში ყველაზე მაღალი კოეფიციენტის მქონე ადამიანთა ორგანიზაციის Mensa International-ის ყველაზე ახალგაზრდა წევრია. ფსიქოლოგმა ჯონ ფრიმანმა, რომელიც გოგონას ტესტს უტარებდა, განაცხადა, რომ მას უფრო მაღალი ქულების მოპოვებაც შეეძლო, მაგრამ 45 წუთის შემდეგ უზარალოდ დაქინდა. მშობლების განცხადებით, გოგონა იმდენად სწრაფად ვითარდებოდა, რომ მათი შემოთქმა გამოიწვია და დახმარებისთვის ფსიქოლოგებს მიმართეს. ტესტირების შედეგებმა კი მთელი მსოფლიო გაოგნებული დატოვა.



▶ **„ფარმა-პირამიდა“**, — ასეთია სოფლის მეურნეობის მომავალი განვითარების უცნაური კონცეფცია, რომელიც კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორებმა, ერიკ ელინგრენმა და დიქსონ დესპომიემ წარმოადგინეს. მათი აზრით, ვერტიკალური ფერმები ახლო მომავალში მსოფლიო აუცილებლობა გახდება. კაცობრიობა შეუჩერებლად იზრდება, პროდუქტების ნაკლებობა კი გლობალურ მასშტაბებს იძენს. დესპომიე ამტკიცებს, თუ კაცობრიობამ ზომები არ მიიღო, 2060 წლისთვის სამი მილიარდი ადამიანი იმპოზიციუსო და გამოსავალს სწორედ ამ ფერმა-პირამიდებში ხედავს, რომელიც დამოუკიდებელი ეკოსისტემაა და არა მხოლოდ სურსათის წარმოება, არამედ ნარჩენების გადამუშავებაც შეუძლია. მეცნიერთა აზრით, აქ შექმნილ სათბურებს მიწის 10, ხოლო წყლის 5 პროცენტი დასჭირდება იმ რესურსებისა, რასაც ფერმები დღეს იყენებენ. ეს კი კაცობრიობას საშუალებას მისცემს ნიადაგს სული მოათქმევიწინოს და იგი მომავალ თაობებს შემოუნახოს.



▶ **ამერიკის** შეერთებულ შტატებში სრულიად ახალგაზრდა კომპანია Willow Garage შექმნა უნიკალური რობოტი, რომელსაც სახელად PR2 უწოდეს. თავისი „თანამომძმეებისგან“ ის იმით განსხვავდება, რომ მთელ შენობაში დამოუკიდებლად დასეირნობს, ავეჯს ან სხვა წინააღმდეგობას გვერდს მოხერხებულად უვლის, შტეფსელებს პოულობს, „თითებს“ ყოფს და თავის გამოკვებაზე თავადვე ზრუნავს. „ახლა შეუძლიათ გაიქცნენ კიდევ, თავს მშვენივრად უვლიან“, — ხუმრობენ მისი შემქმნელი მეცნიერები. ცნობილმა სპეციალისტმა უილიან უაიტკეერმა კი ამ მოვლენას უპრეცედენტო უწოდა.



▶ **ინგლისში** ჩვეულებრივი ბარის მფლობელმა და პატარა გოგონას 42 წლის მამიკომ კრის ებერმა ბავშვებისთვის გამოიგონა კოსტუმი, რომელიც ფერს იცვლის, როგორც კი პატარას სიცხე აუნწევს. ეს კოსტუმი, რომელიც ვარდისფერი, ცისფერი ან მწვანე შეიძლება იყოს, ალჭურვილია თბომგრძობიარე მოლეკულების მქონე სპეციალური პიგმენტური მელნით, რომელიც მაშინვე თეთრდება, როგორც კი სიცხე 37 გრადუსს მიაღწევს. ამ სამოსის გამოგონებას მოყვარულმა მამამ 7 წელი მოაწადინა. სამაგიეროდ უკვე 12,5 მილიონი კონტრაქტი მიიღო. წლის ბოლოსთვის კი იგი მთელ მსოფლიოში საკმაოდ შეღავათიან ფასად გაიყიდება.



▶ **ჩინალმა** მეცნიერებმა H1N1 გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინის პირველი პარტია 90 000 დოზა გამოუმყვს. თავდაპირველად პრეპარატმა კლინიკური გამოცდა უნდა გაიაროს, რომელიც 45-50 დღე გაგრძელდება, შემდეგ კი ამ ვაქცინით ყველა საავადმყოფო მომარაგდება. ჩინეთში ამ ვაქცინის წარმოება ივნისის დასაწყისში თერთმეტმა ფარმაცევტულმა წარმოებამ დაიწყო. წლის ბოლომდე წარმოების მოცულობის 360 მილიონ დოზამდე გაზრდას გეგმავენ.



▶ **ჯონ სტაინბექის** ცნობილმა რომანმა „მრისხანების მტევნები“, რომელიც 70 წლის წინ შეიქმნა, დღესდღეობით განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა. შეეგახსენებთ, რომ ამ ნაწარმოებში ფერმიდან გაქვევებული ერთი ოჯახის ფონზე დიდი დეპრესიის წლებია აღწერილი. ოპიოს უნივერსიტეტის პროფესორის რობერტ დემოტეს აზრით, რომანში სწორედ ის პრობლემები აღწერილი, რომელსაც კაცობრიობა დღეს, მსოფლიო კრიზისის დროს, ეხლება. „მე რომ ერის დარბევა მსურდეს, ზედმეტად ბევრს მიცემდი. შემდეგ კი დახარბებულს, გასაცოდავებულს და დაავადებულს მუხლებზე დავაჩოქებდი“, — წერდა სტეინბეკი 1966 წელს. პროფესორი დემოტეს აზრით, სტეინბეკი დღეს ცოცხალი რომ იყოს, იტყოდა — ხომ გაფრთხილებდითო.



მასალა მოამზადა მანანა მიქელაძემ

მთავარი რედაქტორი	ნინო კაკულია	რედაქციის წევრები:	მისამართი:
მთავარი სამცხალისტი	მაია ტორაძე	ნოდარ ბელქანია, ვია მარბელი, ზაზა ფირალიშვილი, ვახტანგ გურული, ნინო ჩიხლაძე, ნანა ჭილაძე, ნოდარ ხადური, თემურ ნადარეიშვილი	ილია ჭავჭავაძის გამზ. 11* (თსუ-ის მე-3 კორპუსი)
ტექნიკური რედაქტორი	მანანა ჯურხაძე		
ფოტოკორესპონდენტი	ლიკა პეტრიაშვილი		
კომპიუტ. უზრუნველყოფა	თამარ ქავჭარაძე		